კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები

ნათია ზედგინიძე •

დიდგორობა (12 აგვისტო) თანამედროვე ქართულ მეხსიერების პოლიტიკაში ••

დიდგორის ბრძოლას გამორჩეული მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში. იგი იქცა ქვეყნის გამთლიანების, გაძლიერებისა და გამარჯვების სიმბოლოდ. სწორედ ამ ბრძოლას ეძღვნება საბჭოთა პერიოდში დიდგორის ველზე აღმართული მემორიალური კომპლექსი, რომელიც ცნობილ ქართველ მოქანდაკეს მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის. დიდგორის მონუმენტის აღმართვიდან ყოველი წლის 12 აგვისტოს აღინიშნებოდა დიდგორობის დღე, თუმცა 1990-იანი წლების დასაწყისიდან ქვეყანაში განვითარებული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შედეგად დიდგორობა სახელმწიფოებრივ დონეზე დავიწყებას მიეცა, მაგრამ ქართველი კაცის მეხსიერებამ და პოლიტიკურმა აზრმა შემოინახა მისი ისტორიული და ეროვნული მნიშვნელობა. შესაბამისად, მოსახლეობა თავისი ინიციატივით მუდმივად აღნიშნავდა დიდგორობის დღესასწაულს.

ქვეყანაში შექმნილ ურთულეს პერიოდში, როდესაც ფაქტობრივად ჩამოშლილი იყო სახელმწიფო ინსტიტუტები, საზოგადოება დათრგუნული და დამძიმებული იყო აფხაზეთსა და ცხინვალის

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მიმართულების დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

•• მოხსენება 2022 წლის 30 ივნისს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე „მეხსიერების პოლიტიკა საქართველოში: წარსული და თანამედროვეობა“

რეგიონში განვითარებული მოვლენებით და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებაში გაბატონებული ნიჰილიზმის შეცვლა უკეთესი მომავლის რწმენით, სახელმწიფოებრიობის განცდის გაძლიერებითა და გამარჯვების იმედით. ვინაიდან, საქართველოს ისტორიაში დიდგორის ბრძოლა წარმოადგენდა ქვეყნის გაერთიანების, ერთსულოვნების, თავდადებისა და გამარჯვების სიმბოლოს, რომელმაც დასაბამი დაუდო საქართველოს უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევას, ქვემო ქართლის რეგიონში აქტიურად დაიწყეს მუშაობა დიდგორობის დღის სახელმწიფოებრივ დონეზე აღნიშვნის აღსადგენად.

1995 წელს საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ, თანამშრომლებთან და ზემოაღნიშნული იდეის გულშემატკივარ ადამიანებთან ერთად, დიდგორის მემორიალი მოინახულა. ფერადი ლითონებით მოპირკეთებული ქანდაკებები პირწმინდად გაძარცვული და გავერანებული იყო. გადაწყდა რომ დაწყებულიყო აღდგენითი სამუშაოები, რასთან დაკავშირებითაც კონსულტაციებს მუდმივ რეჟიმში გადიოდნენ მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილთან. აგრეთვე, მოიძიეს ძველი ყალიბები და სრულად აღადგინეს კომპლექსი, რაც საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესი იყო. რესტავრაციას ფინანსურ დახმარებას უწევდნენ ბიზნესმენებიც (ინტერვიუ ლევან მამალაძესთან 13.06.22).

1997 წელს ჩატარდა დიდგორის ბრძოლის დღის აღსანიშნი პირველი ღონისძიება, რომელიც ცნობილი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის გოგი ქავთარაძის მიერ იყო დადგმული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1997-1998 წლებში 12 აგვისტოს აღინიშნა დიდგორობა, ხოლო შემდგომ წლებში სექტემბრის დასაწყისში, პირველივე შაბათს. 2000 წელს დიდგორობის დღისთვის სახელმწიფო დროშის გარდა, პირველად შემოდის ხუთჯვრიანი დროშა. რუსთავსა და დანარჩენ 6 მუნიციპალიტეტს დაევალა დიდგორის ველზე ცხენოს-

ნებითა და დროშებით გამოცხადება. სახელმწიფო დროშასთან ერთად ათასამდე ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებდა, როგორც დავით აღმაშენებლის ეპოქის სიმბოლო. გადაიღეს ფილმიც და პატარა კლიპი დიდგორობის შესახებ, რომელიც საზოგადოებრივ არხზე ტრიალებდა როგორც სოციალური კლიპი დიდგორობის წინ (ინტერვიუ ზურაბ კობიაშვილთან. 14.06.22).

დიდგორის დღის აღნიშვნა, ყოველწლიურად უფრო მასშტაბური ხდებოდა და დიდი სახალხო ზეიმის სახეს იღებდა. აღნიშნულ პროცესში წამყვანი ქვემო ქართლის რეგიონი იყო თუმცა იწვევდნენ მომიჯნავე რეგიონებს, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლს (ინტერვიუ ლევან მამალაძესთან 13.06.22.). დიდგორობის დღეს ესწრებოდა პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია მეორე. აგრეთვე, საკმაოდ დიდი დელეგაციები აჭარიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

დიდგორის ველზე 2002 წელს ააგეს დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია. მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, რომელმაც შექმნა დიდგორის მემორიალი, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ეკლესიის აშენებას და დასძენდა, რომ მთლიანად ის ტერიტორია იყო ტაძარი. საბოლოოდ, მაინც გადაწყდა ეკლესიის მშენებლობა, თუმცა მერებ ბერძენიშვილის მოთხოვნით, დიდგორის მემორიალიდან მოშორებით (ინტერვიუ ზურაბ კობიაშვილთან. 14.06.22).

2000-2001 წლებში შეიქმნა საზოგადოებრივი გაერთიანება დიდგორის ორდენი, რომლის საბჭოში შედიოდნენ ღვაწლმოსილი ადამიანები, ქართული ინტელიგენციის ელიტა. დიდგორის ორდენის საბჭო ადგენდა ჩამონათვალს თუ ვინ უნდა დაჯილდოვებულიყო ყოველწლიურად. დიდგორობის დღეს აჯილდოვებდნენ მეცნიერებაში, პოლიტიკაში, ბიზნესში და სხვადასხვა დარგებში გამოჩენილ, წარმატებულ და ღვაწლმოსილ ადამიანებს. 2003 წელს ჩატარდა მასშტაბური დიდგორობა და მომზადდა პროექტი, რომ

დიდგორობა სახალხო ზეიმიდან ასულიყო სახელმწიფოებრივ რანგში.

2003 წლის 5 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება დიდგორობის დღის დაწესების შესახებ. ბრძანებულებაში ხაზგასმული იყო დიდგორის ბრძოლის გამორჩეული მნიშვნელობა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. დავით აღმაშენებლის გონივრული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის შედეგად, დიდგორის ბრძოლა იქცა „ქვეყნის გამთლიანებისა და გაძლიერებისთვის დაწყებული ბრძოლის გადამწყვეტ ეტაპად. ქართველი ერის უკვდავი სულის, წინაპართა ტრადიციების, სამშობლოსათვის თავდადების გამოხატულებად“. პრეზიდენტის ბრძანებულებით, დიდგორის, როგორც საქართველოს ერთიანობისა და გამარჯვების სიმბოლოს, მაღალ სახელმწიფოებრივ დონეზე აღსანიშნად, ოფიციალურად დაწესდა დიდგორობის დღე, რომელიც უნდა აღნიშნულიყო ყოველი წლის სექტემბრის პირველ შაბათს. სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს დაევალათ დიდგორობის დღესასწაულის მაღალ სახელმწიფოებრივ დონეზე მოწყობის ხელშეწყობა, ხოლო საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უნდა გაეშუქებინათ დიდგორობის დღესასწაულის მომზადებისა და გამართვის მიმდინარეობა (იხ. დიდგორობის დღის დაწესების შესახებ)

2003 წლის შემდეგ, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა ბრძოლა გამოუცხადეს წინა ხელისუფლების მიერ დაწყებულ ღონისძიებებს. დიდგორობის დღესასწაული სახელმწიფო დონეზე ფაქტობრივად დავიწყებას მიეცა, თუმცა ხალხის მეხსიერებაში კვლავ აგრძელებდა განვითარებას.

2014 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით თავდაცვის სამინისტრომ და გენერალურმა შტაბმა სპეციალური ჯილდო

„დიდგორის ჯვარი“ დააწესა, რომლითაც ყოველ წელიწადს 12 აგვისტოს დიდგორის ველზე გამორჩეულ სამხედროებს აჯილდოვებენ (ქართველი სამხედროები მედლით „დიდგორის ჯვარი“ დაჯილდოვდნენ, 2017).

2017 წელს პარლამენტში შრომის კოდექსში ცვლილებების პროექტის ინიცირება მოხდა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების დღე (12 აგვისტო) გამოცხადებულიყო უქმე დღედ. პროექტის ავტორები იყვნენ ალექსანდრე ქანთარია, ლერი ხაბელოვი, კობა კობალაძე, შოთა ხაბარელი, კარლო კოპალიანი და ლევან კობერიძე. განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიზანი იყო ევროინტეგრაციის პროცესის პარალელურად, ხელისუფლებას ძალისხმევა მიემართა სახელმწიფო გაერთიანებისა და შიდა ეროვნული კონსოლიდაციისკენ. ვინაიდან, ქართული სახელმწიფოს გაძლიერებისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება და ერთიანი სახელმწიფოს იდეის ხაზგასმა, ეროვნული მუხტის გაღვივება და სახელმწიფოებრივ გამარჯვებებზე აქცენტის გაკეთება, პროექტის ავტორები დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების დღის უქმედ გამოცხადებასა და მის საბრძოლო ტრადიციების წარმოჩინებით აღნიშვნას ითხოვდნენ, რადგან სწორედ დიდგორის ბრძოლამ ჩაუყარა საფუძველი ერთიან, ძლიერ ქართულ სახელმწიფოს (https://fortuna.ge/fortuna/post/didgoris-brdzolashi-gamarjvebis-dghe-12-agvisto-shesadzloa-uqmed-gamockhaddes).

23 მარტს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა დიდგორის ბრძოლის დღის (12 აგვისტოს) „დიდი გამარჯვების დღედ“ გამოცხადებასა და უქმედ დაწესებას, თუმცა შემდგომ კანონპროექტის მსვლელობა შეჩერდა, რასაც ნუკრი ქანთარია ორი მიზეზით ხსნიდა. 1. ისტორიკოსებთან კონსულტაცია 2. თურქეთის საელჩოს თხოვნა.

ნუკრი ქანთარიას განცხადებით, ისტორიკოსებთან შეხვედრები იმართებოდა დიდგორობის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით, რათა მიმზიდველი ყოფილიყო ფართო საზოგადოებისათვის, მათ შორის ტურისტებისთვის და არ დამსგავსებოდა ფორმალურ დღესასწაულს. მეორეს მხრივ, კანონპროექტის შეჩერებას თურქეთის საელჩოს გავლენით ხსნიდა. ამ უკანასკნელმა მეგობრული თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რომ კანონპროექტი არსებული ფორმით არ მიეღო, რადგან ამ გადაწყვეტილებას შეიძლება გარკვეული უსიამოვნება შეეტანა ურთიერთობაში. „ჩვენმა ზეიმმა გარკვეული ეჭვები და კითხვები არ უნდა გამოიწვიოს, თუმცა ისინიც აღიარებენ, რომ ეს ის თურქეთი არ არის. იქ თურქმენები არიან, არაბეთის საემირო და ა.შ. ჩვენ ეს ავუხსენით და თქვეს, რომ ამის მიუხედავად არის ხალხი, რომლებმაც ეს თემა შეიძლება გამოიყენონ და თავისთავად დაძაბონ სიტუაცია“. ქანთარია მიიჩნევდა, რომ პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინება აუცილებელი იყო, თუმცა კანონპროექტის გამოტანას არ აპირებდა (https://netgazeti.ge/news/188793/).

2018 წლის 12 სექტემბერს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა 6 ხმით მხარი დაუჭირა დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადების კანონპროექტის პლენარულ სესიაზე განხილვას. აღნიშნული კანონპროექტის ავტორი „საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება XXI-ის თავმჯდომარე ზვიად ტომარაძე, ინიციატორი კი „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ემზარ კვიციანი იყო. განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიღების მიზეზი დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების დღის დაფასება და ამ დღისთვის განსაკუთრებული დატვირთვის მინიჭება იყო, რაც საზოგადოებაში სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას შეუწყობდა ხელს (https://netgazeti.ge/news/303925/).

პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების სხდომაზე დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ განაცხადა, რომ მის მიერ 2017 წელს დიდგორობის დღესთან დაკავშირებით წარდგენილი კანონპროექტის გაჩერებამ დაამტკიცა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ხარისხი მეტად მყიფეა. კანონპროექტი შეჩერდა და დიდგორობის დღის სახელმწიფოებრივ რანგში ატანა და აღნიშვნა ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს არ ეძლეოდა საშუალება კანონპროექტი მეორე მოსმენაზე გაეტანა. ქანთარიას განცხადებით, ქვეყანა რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრეტენზია აქვს, საკუთარ დაბადების დღეს ვერ იხდის სახლში და წინაპრების დიდ გამარჯვებას ვერ ზეიმობს. მისი მოსაზრებით, აღნიშნულ პროცესში საჭირო იყო დიპლომატიის ჩართვა, თუმცა საგარეო საქმეთა სამინისტრომ აბსოლუტური უსუსურობა გამოამჟღავნა. გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტის წარდგენაში სხვა დეპუტატებიც მონაწილეობდნენ, უხერხულობის თავიდან ასარიდებლად ქანთარიამ გარკვეული ხნით თავი შეიკავა ბოლომდე მიჰყოლოდა პროცესს (http://liberali.ge/articles/view/39414/qantaria-didgorobaze-chemi-proeqtis-gacherebam-daamtkitsa-rom-damoukideblobis-khariskhi-myifea).

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე 2018 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაგირებისკენ მოუწოდებდა, რადგან იმ ფონზე რომ საქართველოს პარლამენტმა შეაჩერა საკომიტეტო განხილვა დიდგორობის უქმედ გამოცხადებისა და ამ დღისათვის განსაკუთრებული დატვირთვის მინიჭების შესახებ, თურქეთში სამხედრო გენშტაბისა და სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, 7 მარტს ქალაქ ართვინში დიდი პომპეზურობით აღინიშნა ტაო-კლარჯეთის „ქართველი ოკუპანტებისგან“ გათავისუფლების 97-ე წლისთავი (http://kvira.ge/389307).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად აღინიშნება დიდგორობის დღე კულ-ტურული და სპორტული ღონისძიებებით, რომელსაც ხელისუფ-ლების წარმომადგენლებიც ესწრებიან, დიდგორობას დაკარგული აქვს საყოველთაო, სახალხო დღესასწაულის სახე.

გამოყენებული ლიტერატურა

ინტერვიუ ლევან მამალაძესთან 13.06.22.(1994 წლიდან პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში)

ინტერვიუ ზურაბ კობიაშვილთან. 14.06.22(1994 წლიდან პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ქვემო ქართლში)

ქანთარია დიდგორობაზე: ჩემი პროექტის გაჩერებამ დაამტკიცა, რომ დამოუკიდებლობის ხარისხი მყიფეა - http://liberali.ge/articles/view/39414/qantaria-didgorobaze-chemi-proeqtis-gacherebam-daamtkitsa-rom-damoukideblobis-khariskhi-myifea

დიდგორობის დღის დაწესების შესახებ - https://matsne.gov.ge/ka/document/view/33946?publication=0

ქართველი სამხედროები მედლით „დიდგორის ჯვარი“ დაჯილდოვდნენ -https://mod.gov.ge/ge/news/read/5981/didgoroba-2017

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების დღე, 12 აგვისტო, შესაძლოა, უქმედ გამოცხადდეს https://fortuna.ge/fortuna/post/didgoris-brdzolashi-gamarjvebis-dghe-12-agvisto-shesadzloa-uqmed-gamockhaddes

თურქეთის საელჩოს თხოვნით პარლამენტმა დიდგორის დღის უქმედ გამოცხადებაზე კანონპროექტი შეაჩერა - https://netgazeti.ge/news/188793/

პარლამენტის კომიტეტმა მხარი დაუჭირა დიდგორობის უქმედ გამოცხადებას https://netgazeti.ge/news/303925/

„თურქეთში ართვინის „ქართველი ოკუპანტებისგან“ გათავისუფლების დღე იზეიმეს“ – რა რეაგირება მოჰყვა ფაქტს საქართველოს საგარეო უწყებიდან http://kvira.ge/389307

Natia Zedginidze

Didgoroba (August 12) in the Politics of Modern Georgian Memory

Abstract

The Battle of Didgori holds special significance in Georgian history. It has come to represent the country's unification, strength, and victory. This battle is commemorated by the memorial complex built in Didgori Valley during the Soviet period by the famous Georgian sculptor Merab Berdzenishvili. Didgori Day has been observed annually on August 12 since the erection of the Didgori monument. However, due to the country's difficult sociopolitical processes since the early 1990s, Didgori was forgotten at the state level, but the Georgian man's memory and political thought preserved its historical and national significance. As a result, the Didgori holiday was constantly observed on its initiative by the populace.

During the country's most difficult period, when state institutions were effectively overthrown, society was depressed and aggravated by events in Abkhazia and the Tskhinvali region, and the country's difficult socioeconomic situation was significant. Because the Battle of Didgori in Georgian history was a symbol of the country's unity, solidarity, devotion, and victory, which led to Georgia's transformation into a strong state, the Kvemo Kartli region began actively working to restore Didgori Day at the state level. The first event was held in 1997, and since then it has grown in size and taken on the form of a public celebration.

Didgoroba is examined in the report in the context of modern Georgia's memory policy from the 1990s to the present. The research was based on an examination of internet media and in-depth interviews with public officials directly involved in the restoration of the Didgori holiday.